



ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



N 48 55
01/09/2020

55-48-4-202009011001



საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს - საქართველოს პარლამენტის
2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის
ადმინისტრაციულ საზღვრებში სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრისათვის საჭირო
სპეციალური ადგილების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო;

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა :

მუხლი 1.

საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს - საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საარჩევნო სუბიექტების სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრა ნებადართული იქნას ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ამბულატორიების, საერთო სარგებლობის წისქვილის შენობებზე, საერთო სარგებლობის წყაროებზე, ჭებზე, მოსაცდელებზე, გარე განათების ბოძებსა და სამშენებლო ტერიტორიების შემოსაზღვრულ დროებით ღობეებზე და დანართი N1-ში მითითებულ შენობა-ნაგებობებზე.

მუხლი 2.

საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს - საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საარჩევნო სუბიექტების სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრა აკრძალული იქნას დანართი N2-ში მითითებულ შენობა-ნაგებობებზე.

მუხლი 3.

საარჩევნო სუბიექტებმა ამ განკარგულებით გათვალისწინებულ ადგილებში სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრა მოახდინონ იმ ფორმით, რომ დაცული იქნას წინასაარჩევნო

კამპანიაში მონაწილე თითოეული სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის განთავსება/გავრისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობებით.

მუხლი 4.

საარჩევნო სუბიექტებმა არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში მოახდინონ განკარგულებით გამოყოფილ ადგილებში მათ მიერ გამოკრული სააგიტაციო მასალისაგან განთავისუფლება.

მუხლი 5.

ამ განკარგულების დარღვევის შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6.

კონტროლი განკარგულების შერულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (თ. ძაგნიძე).

მუხლი 7.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8.

განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დანართი N1.

დამტკიცებულია:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2020 წლის 31 აგვისტოს 48 55 განკარგულებით.

საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს - საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრისათვის გამოყოფილი სპეციალური ადგილების ჩამონათვალი

1. ქალაქი ტყიბული:

მეშახტის ქუჩა N4, N4a და N6.

მეშახტის ქუჩაზე არსებული მინი სტადიონი.

რობაქიძის ქუჩა N4 და მიმდებარე ღობე.

რობაქიძის ქუჩა N3, N5, N7, N10, N12 და N14.

დასავლეთის შახტის შესასვლელთან გზის პირზე არსებული ღობე.

გორგიძის ქუჩა N1, N2, N3, N5 და N7.

გიორგაძის ქუჩა N14, N31, N37, N39 და N45.

ფორჩხიძის ქუჩა N8, N14 და N16.

სვანეთის ქუჩა N12, N14, N16, N26 და N28.

სვანეთის ქუჩა N12 და N14 –თან მიმდებარე საყრდენი კედელი.

სოლომონ მე-2 ქუჩის ბეტონის საყრდენი კედელი.

ცირეკიძის ქუჩა N1, N9 და N16.

გურამიშვილის ქუჩა N3, N5, N7, N9, N56 და N60.

საბაგირო გზის შენობა.

რუსთაველის ქუჩა N10, N14 და N27.

აფხაზის ქუჩის ბეტონის საყრდენი კედელი.

საკოლმეურნეო ბაზრის შესასვლელთან არსებული სტენდი.

გელათის ქუჩა N8, N10, N14, N20 და N24.

თაბუკაშვილის ქუჩა N14, N16 და N18.

გაბრიაძის ქუჩა N1.

ვაჟა-ფშაველას ქუჩა N2.

თაბუკაშვილის ქუჩა N38, N36, N32 და N24.

წერეთლის ქუჩა N14.

გამსახურდიას ქუჩა N8, N9, N10, N11, N14, N16, N18, N20, N21, N22, N23, N24, N27 და N29.

ბარათაშვილის ქუჩა N94, N98, N110, N106 და N104.

გამსახურდიას ქუჩა N1 და N3.

ტყვარჩელის ქუჩა N2, N6, N8a, N10, N17, N24, N26, N32 და N34.

ტყვარჩელის ქუჩაზე არსებული ხიდის მიმდებარე ბეტონის კედელი.

ჯალაღანიას ქუჩა N16, N29, N4, N9, N23, N21, N10 და N12.

ჯალაღანიას ქუჩა N4 და N9-სთან მიმდებარე ბეტონის კედელი.

დუმბაძის ქუჩა N9 და N2.

დუმბაძის ქუჩაზე მდებარე ბაგა-ბაღის მიმდებარე კედელი.

თავისუფლების ქუჩა N1, N2, N3 და N5.

თავისუფლების ქუჩა N2-ის მიმდებარე კედელი.

ძიმიგურის სახელობის შახტასთან არსებული სტადიონის კედელი.

ახობაძის ქუჩა N1, N2, N4, N5, N6, N12 და N3.

რაჭის ქუჩა N7 და N9.

კოსტავას ქუჩა N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9, N10, N11, N12, N13 და N14.

ქუთაისის ქუჩა N3 და N5.

თბილისის ქუჩა N4, N13, N15, N16, N18, N20 და N22.

რუსთაველის ქუჩა N1, N5, N9, N21 და N23.

თაყაიშვილის ქუჩა N8, N9 და N11.

ცენტრალურ სტადიონთან მიმდებარე ბეტონის საყრდენი კედელი.

გამსახურდიას ქ. NN34; 36; 42; 44; 49; 51;

გამსახურდიას ქუჩა N36-თან არსებული სტენდი.

N2 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მოსაცდელთან არსებული ბეტონის კედელი.

ბრეგვაძის ქუჩა N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9, N10, N11, N12, N16, N20 და N22. იმერეთის ქუჩა N14.

გორგასლის ქუჩა N3 და N10.

გამსახურდიას ქუჩა N26, N28 და N30.

2. სოფელი მუხურა:

ე.წ. საკვირაოს უბნის დასახლება, ყოფილი რაიკავშირის მაღაზიის შენობა.

ე.წ. ტელმანის უბნის დასახლების, ყოფილი სკოლის შენობა.

3. საწირის თემი:

სოფელ სამტრედიაში მდებარე ჩაის ფაბრიკის დასახლების ცენტრში არსებული საცხოვრებელი კორპუსები.

სოფელ სამტრედიაში ჩაის ფაბრიკის მიმდებარე ღობე.

სოფელ საწირის ცენტრში მდებარე, ყოფილი რაიკავშირის მაღაზის შენობა.

სოფელ ზედუბნის ფარდულის კედელი.

სოფელ დაბაძლის ცენტრში მდებარე, ყოფილი რაიკავშირის მაღაზიის შენობა.

4. ხრესილის თემი:

სოფელ ძუყნურში მდებარე, ყოფილი რაიკავშირის მაღაზიის შენობა.

5. ორპირის თემი:

სოფელ ზედა ჭყეპის მოედანთან.

სოფელ შუყერის ყოფილი მეფუტკრეობის საწყობის შენობა.

სოფელ ორპირში საცხოვრებელ კორპუსი.

სოფელ ნაბოსლევში ყოფილი სკოლის შენობა.

6. სოფელი ცუცხვათი:

სოფელ ცუცხვათში ცენტრში არსებული სტენდი.

7. კურსების თემი:

სოფელ მაღაროში მდებარე საცხოვრებელ კორპუსები.

8. ჯვარისის თემი:

სოფელ ჯვარისის, ყოფილი რაიკავშირის მაღაზიის შენობა.

9. გურნის თემი:

სოფელ გურნის შესასვლელში, ყოფილი რაიკავშირის მაღაზიის შენობა.

სოფელ კისორეთის ცენტრი, ყოფილი რაიკავშირის მაღაზიის შენობა.

10. სოჩხეთის თემი:

სოფელ სოჩხეთის ცენტრი, ყოფილი მაღაზიის შენობა.

სოფელი ძმუისი, ყოფილი კოლმეურნეობის შენობა.

ნატალია კობახიძე


საკრებულოს თავმჯდომარე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დანართი N2
დამტკიცებულია:
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2020 წლის 31 აგვისტოს N48 55 განკარგულებით.

საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს - საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრისათვის აკრძალული სპეციალური ადგილების ჩამონათვალი

- 1) ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ადმინისტრაციული შენობა - ნაგებობები;
- 2) ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე ეკლესია - მონასტერის შენობა - ნაგებობები;
- 3) სპორტის სასახლე - თაბუკაშვილის ქ. N5;
- 4) თეატრი - კარლო ლომაძის მოედანი N5;
- 5) სასტუმრო - კარლო ლომაძის მოედანი N1;
- 6) მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე - თაყაიშვილის ქ. N3;
- 7) მხარეთმცოდნების მუზეუმი - გამსახურდიას ქ. N12;
- 8) საცურაო აუზი - გამსახურდიას ქ. N46;
- 9) გრიგოლ გაბრიაძის ბიუსტი - გამსახურდიას ქუჩა;
- 10) შოთა რუსთაველის ბიუსტი - გამსახურდიას ქუჩა;
- 11) 9 აპრილის მემორიალი - გამსახურდიას ქუჩა;
- 12) ლითონის მონუმენტი ქართლის დედა - თაყაიშვილის ქუჩა;
- 13) შრომის დიდების მემორიალი - ხრესილის ქუჩა. (ლუკოილ ჯორჯიას ბენზინგასამართი სადგურის მიმდებარე ტერიტორია);
- 14) ყოფილი „საპატიო დაფა“ - რუსთაველის ქუჩა N1 სახლის მიმდებარე ტერიტორია.

ნატალია კობახიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო